



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მოსიაშვილი გული ივანეს ძე

მოსიაშვილი გული ივანეს ძე (25. XI. 1914, თელავი, – 24. V. 1992) მიკრობიოლოგი. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1962), პროფესორი (1964), მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). 1940 დაამთავრა საქართვე. სას.-სამ. ინ-ტი. 1959-იდან იყო საქართვე. მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის მიკრობიოლ. ლაბორ. გამგე. გამოიკვლია საქართვე. ნიადაგების მიკროფლორა და მისი როლი ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდაში. შეისწავლა ყურძნის წვენის დუღილის გამომწვევი მიკროორგანიზმები, ღვინის მრეწველობაში დანერგა საფუვრის აქტ. ფორმები. მასვე ეკუთვნის ნაშრომი „ყურძნის პროდუქტთა მიკრობიოლოგიური ანალიზი“ (1972) და სხვ. **მ.** იყო მიკრობიოლოგთა საზ.-ბის საქართვე. განყ.-ბის პრეზიდიუმის თავ-რე (1957–89).
